

შპს „რეზსოლი“
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	7
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	12
4 ძირითადი საშუალებები.....	13
5 ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	14
6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14
7 მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები	14
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
9 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15
10 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15
11 მიღებული ავანსები.....	15
12 მოკლევადიანი სესხები	16
13 კაპიტალი	18
14 შემოსავალი რეალიზაციიდან	18
15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	18
16 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი).....	18
17 მოგების გადასახადი.....	18
18 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რეპსოლის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა,

მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მფლობელებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი, 2022

შპს „ინოქსი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რეკსოლის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა,

INNOX

მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამომწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მფლობელებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 სექტემბერი, 2022

შპს „ინოქსი“



შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	114,764,302	67,948,957
ნავთობპროდუქტების თვითღირებულება		(107,095,028)	(63,381,942)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(4,316,148)	(1,782,805)
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	8	6,645	(162,746)
საგადასახადო ხარჯი		(25,534)	(16,778)
საოპერაციო მოგება		3,334,237	2,604,686
არასაოპერაციო შემოსავლები		33,598	28,536
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ (ზარალი), წმინდა	4	(28,854)	(1,339)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)		(433,011)	(248,310)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		2,905,970	2,383,573
მოგების გადასახადი	16	-	-
წმინდა მოგება		2,905,970	2,383,573

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 4-19 გვერდის ჩათვლით დირექტორის სახელით დამტკიცებულია
გამოსაშვებად 2022 წლის 30 სექტემბერს.

ზურაბ ნოზაძე

შპს „რეპსოლი“

დირექტორი

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	114,764,302	67,948,957
ნავთობპროდუქტების თვითღირებულება		(107,095,028)	(63,381,942)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(4,316,148)	(1,782,805)
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	8	6,645	(162,746)
საგადასახადო ხარჯი		(25,534)	(16,778)
საოპერაციო მოგება		3,334,237	2,604,686
არასაოპერაციო შემოსავლები		33,598	28,536
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ (ზარალი), წმინდა	4	(28,854)	(1,339)
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)		(433,011)	(248,310)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		2,905,970	2,383,573
მოგების გადასახადი	16	-	-
წმინდა მოგება		2,905,970	2,383,573

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 4-19 გვერდის ჩათვლით დირექტორის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 30 სექტემბერს.

გურამ ნოზაძე
შპს „რეპსოლი“
დირექტორი



შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4,319,703	1,316,480
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	5	1,723,585	1,512,585
არამატერიალური აქტივები		3,321	744
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,046,609	2,829,809
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	2,276,909	2,197,081
მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები	7	1,984,571	2,189,765
წმინდა საგადასახადო აქტივი		-	143,190
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3,256,664	2,550,772
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	636,073	40,947
სულ მიმდინარე აქტივები		8,154,217	7,121,755
სულ აქტივები		14,200,826	9,951,564
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	2,236,339	1,130,721
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,236,339	1,130,721
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	315,671	156,435
მიღებული ავანსები	11	31,780	4,850
წმინდა საგადასახადო ვალდებულება		100,087	-
მოკლევადიანი სესხები	12	464,163	1,694,651
სულ მიმდინარე ვალდებულებები		911,701	1,855,936
სულ ვალდებულებები		3,148,040	2,986,657
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,683,237	1,501,328
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		8,369,549	5,463,579
სულ კაპიტალი	13	11,052,786	6,964,907
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,200,826	9,951,564

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	4,587,462	3,501,060	8,088,522
წლის მოგება		-	2,383,573	2,383,573
გამოცხადებული დივიდენდი		-	(421,054)	(421,054)
წლის სრული შემოსავალი		-	1,962,519	1,962,519
სააქციო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		(3,086,134)	-	(3,086,134)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	1,501,328	5,463,579	6,964,907
წლის მოგება		-	2,905,970	2,905,970
გამოცხადებული დივიდენდი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	2,905,970	2,905,970
სააქციო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		1,181,909	-	1,181,909
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	2,683,237	8,369,549	11,052,786

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე:		2,905,970	2,383,573
რეგულირება:		799,358	618,755
ცვეთა და ამორტიზაცია	5	344,138	206,360
ძირითადი საშუალებების გასვლა/გაყიდვიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	5	28,854	1,339
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება / ზარალი		(193,994)	113,380
საწვავის დანაკლისის ჩამოწერა	6	-	-
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	8	(6,645)	162,746
ფინანსური ხარჯი	11	629,616	148,299
ფინანსური შემოსავალი		(2,611)	(13,369)
ცვლილება აქტივებსა და ვალდებულებებში		(144,438)	1,218,365
(ზრდა)/შემცირება გადასახადებში		143,190	(143,190)
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	5	(79,828)	(944,691)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	6	205,194	803,154
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	7	(699,247)	1,511,363
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	9	159,236	126,318
ზრდა/(შემცირება) მიღებულ ავანსებში	10	26,930	(122,523)
ზრდა/(შემცირება) გადასახდელ გადასახადებში		100,087	(12,066)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,560,890	4,220,693
გადახდილი პროცენტი		(741,503)	(156,920)
მიღებული პროცენტი		2,611	13,369
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,821,998	4,077,142
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(3,456,726)	(585,532)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	4	80,511	36,475
ინვესტიციის განხორციელება		(211,000)	(1,512,585)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(2,577)	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,589,792)	(2,061,642)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალში შენატანი	12	(1,181,909)	(3,086,134)
სესხები	11	181,011	1,403,158
გადახდილი დივიდენდი	12	-	(421,054)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		1,362,920	(2,104,030)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		40,947	129,477
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		-	-
წმინდა ზრდა/(კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		595,126	(88,530)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის		636,073	40,947

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „რეპსოლი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2014 წლის 4 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით [ს/ნ:405074128] საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ცინცაძის ქ., N 39, ბ. 78.

კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრეა უჩა ლურსმანაშვილი. კომპანიის დირექტორია ზურაბ ნოზაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა ბენზინგასამართი სადგურებისა და ნავთობბაზის მეშვეობით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 148 (2020: 56)

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტები“) საფუძველზე. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისთვის თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანია კოვიდ-19-ის პანდემიის მიუხედავად, მიზანშეწონილად მიიჩნევს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას კომპანიის საქმიანობის სპეციფიკისა, საქმიანობის დარგისა და გეოგრაფიული რეგიონიდან გამომდინარე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში და მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე (თუ სხვა რამ არ არის მითითებული).

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3.2766	4.0233
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.8677	3.2095

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	წელი
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	10
საოფისე და სხვა ტექნიკა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
სატრანსპორტო საშუალებები	5
კეთილმოწყობა	5

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

კომპანია ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, მსს ფასს-ის 27-ე განყოფილების - „აქტივების გაუფასურება“ - შესაბამისად.

კომპანია ინვესტიციიდან მიღებულ დივიდენდებს და სხვა სახის განაწილებებს აღიარებს, როგორც შემოსავალს, იმის მიუხედავად, საიდან იქნა მიღებული ეს განაწილებები: მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც წარმოიქმნა ინვესტიციის შეძენის თარიღამდე, თუ ინვესტიციის შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნაყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის კომპანია საშუალო შენონილ მეთოდს.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, კომპანია მარაგს აფასებს მათი გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

მარაგები ხარჯად აღიარდება როდესაც გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით.

კომპანიი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია, საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს, ან საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ

იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადამღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85- ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

აღებული სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება ტრანზაქციის ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადასახდელი ფულის მიმდინარე ღირებულებას ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და საპროცენტო ხარჯი აღიარდება ფინანსურ ხარჯებში.

აღებული სესხები აღიარდება მოკლევადიან ვალდებულებად, თუ მის დასაფარად ანგარიშგების თარიღიდან დარჩენილია არაუმეტეს 12 თვე.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის კომპანიის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განიჭებული რესურსების გასვლა საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა საწარმოს მოგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამოგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

კომპანია ხარჯს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადანყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებები ცვდება განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებაზე აქტივის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელის მიღების პერიოდთან დაკავშირებით. აღნიშნული შეფასება პერიოდულად გადაიხედება. შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენას იქონიოს აქტივების საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი პერიოდების ცვთის ხარჯზე. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „რეკსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

4 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	177,236	288,667	145,448	49,132	64,666	593,539	21,874	1,340,562
შეძენა	84,048	-	104,565	34,236	194,132	139,948	28,603	585,532
გასვლა	-	-	(5,169)	(331)	(22,754)	(17,381)	-	(45,635)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	261,284	288,667	244,844	83,037	236,044	716,106	50,477	1,880,459
შეძენა	765,118	948,607	401,546	59,171	266,906	994,198	21,180	3,456,726
გასვლა	-	-	(59,752)	-	-	(71,286)	-	(131,038)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	1,026,402	1,232,274	586,638	142,208	502,950	1639,018	71,657	5,206,147
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	-	(28,006)	(39,162)	(11,008)	(15,070)	(259,077)	(13,117)	(365,440)
წლიური ცვეთა	-	(20,946)	(33,731)	(21,968)	(32,132)	(96,411)	(1,172)	(206,360)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	7,821	-	7,821
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	-	(48,952)	(72,893)	(32,976)	(47,202)	(347,667)	(14,289)	(563,979)
წლიური ცვეთა	-	(36,112)	(79,861)	(25,574)	(67,432)	(126,546)	(8,613)	(344,138)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	21,673	-	21,673
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	-	(85,064)	(152,754)	(58,550)	(114,634)	(452,540)	(22,902)	(886,444)
ნარჩენი ღირებულება								
2019 წლის 31 დეკემბერი	177,236	260,661	106,286	38,124	49,596	334,462	8,757	975,122
2020 წლის 31 დეკემბერი	261,284	239,715	171,951	50,061	188,842	368,439	36,188	1,316,480
2021 წლის 31 დეკემბერი	1,026,402	1,152,210	433,884	83,658	388,316	1,186,478	48,755	4,319,703

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 501,407 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებების არის გამოყენებული სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად (2020: 580,672 ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 309,591 ლარის ღირებულების სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს (2020: 58,411 ლარი)

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ გაყიდა 109,365 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები 80,510 ლარად.

5 ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

2021 წლის განმავლობაში შპს „რეპსოლმა“ შპს „გიგომი“ (ს.კ: 204863175), რომელშიც 35%-იან წილს ფლობს განახორციელა 211,000 ლარის ინვესტიცია.

კომპანია ინვესტიციას მეკავშირე საწარმოში აღრიცხავს თვითღირებულებით.

6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
დიდელი ნავთობბაზებში	391,375	627,793
ბენზინი ნავთობბაზებში	196,288	1,002,615
დიდელი ბენზინგასამართ სადგურებზე	762,046	266,446
ბენზინი ბენზინგასამართ სადგურებზე	927,201	300,227
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,276,909	2,197,081

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 277,598 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური მარაგები არის დაყადაღებული სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ.

7 მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები

მომწოდებლებთან წინასწარ გადახდილი თანხები უკავშირდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენას, რომელიც მომდევნო წელს სწორდება.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	3,296,015	2,713,037
სხვა მოთხოვნები	139,766	46,258
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(179,117)	(208,523)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,256,664	2,550,772

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება, გამოხატულია ლარში და ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, როგორც წესი, იფარება 30 დღემდე ვადაში. მომხმარებლებს მიეცემა 30-დღიანი

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

საშეღავათო პერიოდი და მათი დებიტორული დავალიანებები ვადაგადაცილებულად ჩაითვლება მინიმუმ 31 დღის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში.

2021 და 2020 წლებში მოძრაობები მოსალოდნელ საკრედიტო ბარალში და ანარიცხების რეზერვებში შესაძლოა შემდეგი სახით შეფასდეს:

2019 წლის 31 დეკემბერი	45,777
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	162,746
ანარიცხების ჩამოწერა	-
2020 წლის 31 დეკემბერი	208,523
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	(6,645)
ანარიცხების ჩამოწერა	-
2021 წლის 31 დეკემბერი	201,878

9 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული სალაროში	214,122	30,138
ნაღდი ფული ბანკებში	421,951	10,809
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	636,073	40,947

ფულადი სახსრები განთავსებულია წამყვან ქართულ ბანკებში.

საბანკო ანგარიშებზე ერიცხება უმნიშვნელო საპროცენტო სარგებელი 2021 და 2020 წლის განმავლობაში.

10 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	233,217	141,045
სხვა კრედიტორული დავალიანება	82,454	15,390
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	315,671	156,435

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ჩვეულებრივ, იფარება მაქსიმუმ 5 დღის ვადაში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ძირითადად ლარშია გამოხატული.

11 მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები უკავშირდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბითუმო მიწოდებას, რომელიც მომდევნო წელს სწორდება.

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

12 მოკლევადიანი სესხები

დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2021

მოკლევადიანი სესხები

მიმდინარე ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
საქართველოს ბანკი - 400 000 დოლარი	06-11-20	17-11-25	6,00%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	USD	233,834
საქართველოს ბანკი - 600 000 დოლარი	04-03-21	15-03-28	6,00%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	USD	230,329
სულ მიმდინარე ნაწილი							464,163

გრძელვადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
საქართველოს ბანკი - 400 000 დოლარი	06-11-20	17-11-25	6,00%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	USD	768,314
საქართველოს ბანკი - 600 000 დოლარი	04-03-21	15-03-28	6,00%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	EUR	1,468,026
სულ გრძელვადიანი ნაწილი							2,236,339

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაჩვენებია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2020

მოკლევადიანი სესხები

მიმდინარე ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
საქართველოს ბანკი - 1 მილიონი ლარი	26-11-18	01-12-21	10,45%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	369,252
საქართველოს ბანკი - 1.4 მილიონი ლარი	30-09-20	16-04-21	11,00%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	GEL	719,376
საქართველოს ბანკი - 400 000 დოლარი	06-11-20	17-11-25	6,00%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	USD	232,985
საქართველოს ბანკი - 200 000 დოლარი	26-11-18	01-12-21	6,80%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	USD	233,638
საქართველოს ბანკი - 35 000 ევრო	22-03-19	19-03-24	5,50%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	EUR	27,513
საქართველოს ბანკი - 40 000 ევრო	24-04-19	05-02-21	5,50%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	EUR	111,887
სულ მიმდინარე ნაწილი							1,694,651
გრძელვადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში
საქართველოს ბანკი - 400 000 დოლარი	06-11-20	17-11-25	6,00%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	USD	1,060,059
საქართველოს ბანკი - 35 000 ევრო	22-03-19	19-03-24	5,50%	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	EUR	70,663
სულ გრძელვადიანი ნაწილი							1,130,721

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

ინფორმაცია მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ქონებების შესახებ იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

კომპანიის საპროცენტო ხარჯი 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა 629,616 ლარს (2020: 148,299 ლარს).

13 კაპიტალი

კომპანიის მფლობელმა გაზარდა კომპანიის კაპიტალი ფულადი სახსრებით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,683,237 ლარს შეადგენს (2020 წლის 31 დეკემბერს: 1,501,328 ლარი).

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ გაანაწილა 0 ლარის დივიდენდები (2020: 421,054 ლარის)

14 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020	2020
შემოსავალი საწვავის რეალიზაციიდან	114,716,541	67,893,589
შემოსავალი საწვავის ტრანსპორტირებიდან	47,761	55,368
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	114,764,302	67,948,957

15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
საწვავის ხარჯი	426,962	202,815
შრომის ანაზღაურება	1,582,818	553,165
ტრანსპორტირების ხარჯი	287,858	114,912
ცვეთის ხარჯი	344,138	206,360
კომუნალური ხარჯები	152,574	45,608
საოპერაციო იჯარის ხარჯი	1,124,590	497,998
სამეურნეო ხარჯი	224,384	52,339
პროფესიული მომსახურება	12,712	12,712
ბანკის საკომისიო	111,583	31,496
საოფისე ხარჯი	7,030	3,571
დაზღვევა	14,703	3,844
სხვა ხარჯები	26,796	57,985
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,316,148	1,782,805

16 წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)

	2021	2020
საკურსო სხვაობა	193,994	(113,380)
საპროცენტო ხარჯი	(629,616)	(148,299)
საპროცენტო შემოსავალი	2,611	13,369
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	(433,011)	(248,310)

17 მოგების გადასახადი

კომპანიის მოგების გადასახადმა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 0 ლარი (2020: 0 ლარი).

შპს „რეპსოლი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

18 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

	2021	2020
მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	227,334	100,625

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია 2021 და 2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	2021	2020
შემოსავალი საწვავის გაყიდვიდან	18,340,409	11,580,558
შემოსავალი ტრანსპორტირებიდან	17,136	31,411
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	-	28,475
საწვავის შეძენა	5,883	5,940
სულ	18,363,428	11,646,383
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,008,760	1,058,494
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	63	1,728
სულ	1,008,823	1,060,222

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

თანდართული ფინანსური ანგარიშგება დირექტორის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მფლობელმა გაზარდა კაპიტალი 1,122,578 ლარით.

2021 წლის კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

მთავარი	2
პროდუქტი.....	2
პარტნიორები.....	3
კომპანიის მიღწევები	3
საოპერაციო საქმიანობა	3
ხანძარსაწინააღდეგო ღონისძიებები	4
საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და საოპერაციო რისკების მიმოხილვა.....	5
საკრედიტო რისკი.....	5
საბაზრო რისკი	5
ლიკვიდობის რისკი	5
საოპერაციო რისკი	6
განვითარების გეგმები	6
მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება	6

მთავარი

კომპანია „რეკსოლი“, რომელიც ბაზარზე პოზიციონირებს ბრენდი “Connect“-ის მეშვეობით, დაფუძნდა 2014 წელს და განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს საბითუმო და საცალო ნავთობპროდუქტების ბაზარზე წარმატებით დაიმკვიდრა ხარისხიანი საწვავის მომწოდებლისა და საიმედო პარტნიორის სახელი. ვაცნობიერებთ რა ჩვენი წილ პასუხისმგებლობას ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე, ასევე ერთგულებას მაღალი კორპორატიული სტანდარტების მიმართ, ჩვენი მისიაა მომხმარებელს საქართველოს ბაზარზე შევთავაზოთ ხარისხიანი პროდუქტი და მომსახურება.

კომპანია არსებობის მანძილზე ემსახურება საქართველოში ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს საწვავის საბითუმო მიწოდების კუთხით და ამ ეკონომიკური აგენტების რიცხვი მზარდია. ამავდროულად კომპანიაში საცალო რეალიზაციის მიმართულებაში ჩადებული ინვესტიციით მოხდა შეძენილი და იჯარით აღებული ბენზინგასამართი სადგურების მეშვეობით ბენზინგასამართი სადგურების ქსელის შექმნა ქვეყნის მასშტაბით, რამაც საშუალება მოგვცა საცალო მომხმარებლისთვის მიგვეწოდებინა ხარისხიანი პროდუქტი და მომსახურება.

კომპანიის ბენზინგასამართი სადგურები განთავსებულია: კახეთში, თბილისში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში და აჭარაში.

2021 წლის ბოლოს კომპანიაში დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 203 თანამშრომელს.

2021 წლის ბოლოსთვის კომპანია ოპერირებას უწევდა 35 ერთეულ ბენზინგასამართ სადგურს (კუთვნილს და იჯარით აღებულს ერთად).

პროდუქტი

კომპანია „რეკსოლი“ ახორციელებს იმპორტირებული საწვავის შეძენას და მის ადგილობრივ ბაზარზე, როგორც საბითუმო ისე საცალო ქსელის მეშვეობით რეალიზაციას. კომპანია მაქსიმალურად ახორციელებს ხარისხიანი პროდუქციის შეძენას, რათა შეძლოს მომხმარებლების საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილება და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისა თუ ნორმატივების შესრულება.

კომპანიის პროდუქტებია - რეგულარი, პრემიუმი, დიზელი და ევროდიზელი.

პარტნიორები

კომპანიის ძირითად პარტნიორებს წარმოადგენენ კერძო ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ოპერირებენ კერძო ბენზინგასამართი სადგურების, გადაზიდვის, მშენებლობის, სერვისის, ვაჭრობის და ა.შ სფეროებში.

კომპანიის მიღწევები

2021 წლის მანძილზე კომპანიის ძირითადი ფოკუსირება მოხდა ბენზინგასამართი ქსელის სწრაფ გაფართოებაზე, რამაც საშუალება მისცა კომპანიას წლის ბოლოს საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი ყოფილყო 35 ბენზინგასამართი სადგურით “Connect“-ის ბრენდის ქვეშ. აღნიშნული რიცხვი მზარდი გამომდინარე კომპანიის სტრატეგიიდან.

საოპერაციო საქმიანობა

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანიის საქმიანობა არ რეგულირდება რაიმე სპეციფიკური კანონმდებლობით. არსებობს მხოლოდ სამთავრობო დადგენილებები და ზოგადი კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და სახანძრო წესების დაცვას.

კომპანიის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მოგების მიღება ხარისხიანი პროდუქტის მომხმარებლებზე მიწოდების გზით.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 114 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება - 2.9 მილიონ ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს - 14.2 მილიონ ლარს, ხოლო საკუთარი კაპიტალი - 11 მილიონი ლარია.

საოპერაციო საქმიანობა მკაცრ სააღრიცხვო პოლიტიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. კომპანიის ავტოგასამართი სადგურის მენეჯერები ყოველდღიურად ადგენენ ანგარიშს და ეს ანგარიში წარედგინება სათაო ოფისს. ანგარიშის უტყუარობასა და შეცდომების გამორიცხვას სათაო ოფისი აკონტროლებს საწვავის გამშვებ სვეტებზე ჩაშენებული მრიცხველების მიხედვით, ბანკის ამონაწერის, ტერმინალის ანგარიშის და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. მრიცხველები დალუქულია საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ლუქებით. დალუქვა ხორციელდება შესაბამისი წესის მიხედვით. დალუქვის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ასახულია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აგს-ს ეკრძალება ოპერირება.

კომპანიაში დანერგილია სამეთვალყურეო სისტემა - შსს ტექნიკური დავალების საფუძველზე აგს-ებზე განთავსებულია მაღალი გარჩევადობისა და ასევე ღამის რეჟიმში მომუშავე ვიდეო-კამერები,

რომლებისაც აკონტროლებენ აგს-ების მთელ პერიმეტრსა და მასთან მიმავალ გზებს. აღნიშნულ სამეთვალყურეო სისტემის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს მონიტორინგის სამსახური.

ტექნიკური სამსახური, უზრუნველყოფს აგს-ების გამართულ ტექნიკურ მუშაობას, რაც გამოიხატება გამშვები სვეტების, სანვავის მილსადენების, ელექტრო-მოწყობილობებისა და სხვა მანქანა-დანადგარების გამართულ ფუნქციონირებაში.

ლოჯისტიკის სამსახური უზრუნველყოფს საბითუმო სანვავის სხვადასხვა მომწოდებლებთან შეძენილი სანვავით აგს-ების უწყვეტი და დროული მომარაგება, ასევე საკუთარ და სხვადასხვა ბაზებში შესყიდული საქონლის ნაშთების კონტროლი.

ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია საქონლის შესყიდვის, რეალიზაციის და ხარჯების ოპერაციები. ისინი წარმოიშვება კომპანიის ჩვეული საოპერაციო საქმიანობის შესაბამისად. ჩანაწერები ასახულია შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურების და ავტოგასამართ სადგურებზე არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის ჟურნალებში ელექტრონული ჩანაწერების სახით. სხვა განსაკუთრებული გარემოებები არ არსებობს, რომლებიც გავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მონაცემები გენერირდება კომპანიის მიერ შემუშავებული ანგარიშგების ფორმებში ავტოგასამართი სადგურების მენეჯერების მიერ. ასევე ელექტრონული სახით მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან შემოსავლების სამსახურის საიტზე. შემდეგ ეს მონაცემები მუშავდება საბუღალტრო პროგრამაში. რეალიზაციიდან შემოსული თანხები ინკასირდება მომსახურე ბანკში. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით ნაღდი ფულის მოძრაობა აკრძალულია კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე.

მომზადებული ინფორმაციის დამუშავება ხდება ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისად და გამოიყენება მენეჯმენტის მიერ შიდა გადანაცვებებების მიღების და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ინფორმაციის წარდგენისა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობის პროცესში.

კომპანია აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამის ანგარიშგების ფორმებს.

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან თითოეულ ობიექტზე დანიშნულია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი.

ობიექტის თანამშრომლები სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლების შემდეგ, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ობიექტებზე ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით,

რომლის წესი და პერიოდულობა განისაზღვრება მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და საოპერაციო რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე, რომლის მიღებასაც კომპანია ელოდება კლიენტებისგან დათქმულ ვადებში. აღნიშნული რისკის კონტროლის მიზნით, კომპანია ახორციელებს მსხვილი კლიენტების ფინანსური მონაცემების მონიტორინგს, რათა მაქსიმალურად შემცირებულ იქნას საკრედიტო რისკები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს იურიდიულად გამართული პროცედურების მეშვეობით თავი აარიდოს სასამართლო დავებს და ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა მაქსიმალურად ყველა პოტენციური დავის მორიგების გზით დარეგულირება. თუმცა იყო მინიმალური რაოდენობის ქეისები, რომელიც გადატანილ იქნა საქართველოს შესაბამის სასამართლო ინსტანციაში. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ გარდა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული გაუფასურების რეზერვისა, დამატებითი რეზერვის შექმნის აუცილებლობა არ არის.

საბაზრო რისკი

კომპანიისთვის საბაზრო რისკი მომდინარეობს საქართველოში სანვავის კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან ბაზარზე მოქმედი როგორც ე.წ ბრენდული, ასევე არაბრენდული ბენზინგასამართი სადგურები. კომპანია კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას ცდილობს ქსელის გაფართოების, ცნობადობის ამაღლების, ხარისხიანი სანვავის და მომსახურების მიწოდების გზით. კომპანია ყოველდღიურად აკვირდება ბაზარზე საფასო პოლიტიკის ფორმირებას, აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა ლოკაციებზე სხვადასხვა კონკურენტების ქცევას, რათა დროულად მოახდინოს სათანადო რეაგირება.

ლიკვიდობის რისკი

კომპანიისთვის ლიკვიდობის რისკის კონტროლი ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რისთვისაც კომპანიამ განახორციელა რიგი ღონისძიებები, რის შედეგადაც შემცირდა დებიტორებისგან თანხის ამოღების დღეების რაოდენობა და ბუფერული მარაგის დონე, რამც კომპანიას მისცა საშუალება განეხორციელებინა შესაბამისი ინვესტიციები, რის შედეგადაც განხორციელდა ქსელის გაფართოება ახალი ბენზინგასამართი სადგურების მეშვეობით.

საოპერაციო რისკი

კომპანიისთვის საოპერაციო რისკების მონიტორინგისა და მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში ფუნქციონირებს მონიტორინგის სამსახური, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ბენზინგასამართ სადგურებში საწვავის, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

კომპანიაში მოქმედი მონიტორინგის სისტემის მეშვეობით კონტროლდება განუღივრებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვის მიზნით.

განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმა ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას, საწვავის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციას და საბარათე-სატალონე ბარათების დანერგვას კომპანიაში.

მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა, 2022 წლის 30 სექტემბერს.

ზურაბ ნოზაძე _____

დირექტორი

საოპერაციო რისკი

კომპანიისთვის საოპერაციო რისკების მონიტორინგისა და მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში ფუნქციონირებს მონიტორინგის სამსახური, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ბენზინგასამართ სადგურებში საწვავის, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

კომპანიაში მოქმედი მონიტორინგის სისტემის მეშვეობით კონტროლდება გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვის მიზნით.

განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების გეგმა ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციას, საწვავის მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციას და საბარათე-სატალღო ბარათების დანერგვას კომპანიაში.

მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა, 2022 წლის 30 სექტემბერს.

ზურაბ ნოზაძე

დირექტორი



დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „რეკსოლის“ აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ინოქსი“

ირაკლი ჭილაძე

2022 წლის 30 სექტემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „ინოქსის“ აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ინოქსი“

ირაკლი ჭილაძე

2022 წლის 30 სექტემბერი


